პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 19 აპრილი, 1946 წ. № 80 (7553). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მელიანდაგე რკინიგზელთა საბრძოლო ამოცანა. „პრავდის“ 18 აპრილის მოწინავე. (1-ლი გვერდი).

ბ-ნ გენერალისიმუს სტალინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. (1-ლი გვერდი).

ბატონ მოლოტოვს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს. (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ბ-ნ მ. პეკალას მეთაურობით. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კომუნიკე პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ფერენც ნადის მეთაურობით უნგრეთის მთავრობის მოსკოვში ყოფნის შესახებ. (1-ლი გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები. (მე-2 გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. (მე-2 გვერდი).

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. (მე-3 გვერდი).

„მეტი სტახანოვური ჰექტარები!“: სამტრედიის რაიონი; ცხაკაიას რაიონი; ქარელის რაიონი. (მე-3 გვერდი).

მელიანდაგე რკინიგზელთა საბრძოლო ამოცანა

გაზაფხული რომ დადგება, რკინიგზებზე იწყება დაძაბული პერიოდი დიდი მასშტაბის სარემონტო სამუშაოებისა, რომლებსაც წელს უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. საქმე ეხება არა მარტო იმას, რომ გაზაფხულის წყალდიდობის დროს წალეკვას გადავარჩინოთ გზები, ყინულის დაძვრისა და მდინარეთა ადიდების დროს დავიცვათ ხიდები, რკინიგზის ყრილები. ამ უაღრესად მნიშვნელოვან სამუშაოს მელიანდაგენი ყოველ წელიწადს ასრულებენ. 1946 წელს — ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს—მათ მოელით კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანების გადაჭრა:

განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი სალიანდაგო მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის დაძაბული ტვირთზიდვის ხაზებსა და მიმართულებებზე, რომლებიც აღნიშნულია ხუთწლიანი გეგმის კანონში;

კაპიტალურად აღადგინონ დიდძალი ხელოვნური ნაგებობანი, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე;

სავსებით აღმოფხრან მთელ რიგ ადგილებში ავარიის კერები და ჯეროვან მდგომარეობაში მოიყვანონ რკინიგზის ხაზები ჩამორჩენილ დისტანციებზე;

ფართოდ გააჩაღონ ურალისა და ციმბირის გზების რეკონსტრუქცია, რაც გასულ წლებში დაიწყო.

ამ ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად საჭიროა დროულად მოახდინონ მთელი ძალებისა და საშუალებების მობილიზაცია, ზუსტად მოაწესრიგონ შრომა, სრულად გამოიყენონ არსებული მანქანები, მექანიზმები, მასალები.

მომავალ სამუშაოთა გეგმის შესასრულებლად მარტო ურალისა და ციმბირის გზებზე საჭირო იქნება ორ მილიონნახევარზე მეტი კუბური მეტრი ქვიშის ბალასტი, 600 ათასამდე კუბური მეტრი ღორღი, 4.700 ათასი შპალი, დამატებით მოეწყოს 88 სალიანდაგო კოლონა. მთლიანად ქსელში მოხდება 300-მდე კილომეტრი გზების ძირითადი რეკონსტრუქცია, 3.200 კილომეტრი კაპიტალურად შეკეთდება, 14 ათას კილომეტრზე სამუშაო რემონტი ჩატარდება, 4.450 კილომეტრზე მთლიანად შეიცვლება რელსები, 1.300 კილომეტრზე გაძლიერებული იქნება მრუდეები. ყველა ეს ღონისძიება აუცილებლად საჭიროა განხორციელდეს გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში იმ ანგარიშით, რომ ტრანსპორტისათვის უზრუნველყოფილ იქნას შესაძლებლობა — შეუფერხებლად იმუშაოს ზამთარში.

იმ ტერიტორიაზე არსებულ რკინიგზის ხაზებზე, რომელმაც ოკუპაცია განიცადა, მთელ რიგ ადგილებში დღემდე აწყვია გადაჭრილი, დამოკლებული რელსები, რომლებიც საშუალებას არ იძლევიან გატარებულ იქნას ზოგიერთ უბანზე მძიმე ლოკომოტივები და გადიდებულ იქნას მატარებლების მოძრაობის სიჩქარე. მელიანდაგეებს მიცემული აქვთ დავალება ახალი რელსებით შესცვალონ ასეთი რელსების მნიშვნელოვანი რაოდენობა, გარდა ამისა, ფართო მასშტაბით ჩაატარონ შედუღების სამუშაოები.

1946 წლის სამუშაოთა გეგმა ითვალისწინებს რამდენიმე ხიდის კაპიტალურად აღდგენას. შარშან საკავშირო აღდგენილ იქნა ხიდები დნეპრზე დნეპროპეტროვსკთან და კიევთან, დონზე სემილუკთან, ვოლგაზე რეჟევთან, ბერეზინაზე ბობრუისკთან და ბორისოვთან. წელს საჭიროა დამთავრდეს ხიდების კაპიტალური აღდგენა მდინარე შელონზე ოქტომბრის გზაზე, მდინარე სეიმზე ლგოვთან და კონოტოპთან. დნეპრზე რეჩიცასთან, ნემანზე გროდნოსთან, პრუტზე უნგენთან, იუჟნი ბუგზე გუბნიკთან, მდინარე სამარაზე სტალინის გზაზე და სხვები.

ხიდების აღდგენას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს. გზების, აღდგენითი ორგანიზაციებისა და სამსახურების უფროსები ვალდებული არიან მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საქმეს. საჭიროა დროულად მოაწყონ დამატებითი ხიდაღმდგენი მატარებლები, სრულად დააკომპლექტონ იაფი ძუშებით და საჭირო ძოწყობილობით.

მიმდინარე წელს დაგებულ უნდა იქნას 30 მილიონამდე ახალი შპალი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე უნდა დამზადდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაუქელეხთავი შპალების დაგება აკრძალულია, საჭიროა ახლავე მივიღოთ გადამწყვეტი ზომები შპალსაჟღენთ ქარხნებში შპალების დაუყოვნებლივ მიზიდვისათვის. ამიტ დაგვიანება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; დაგვიანება დიდი საქმის შეფერხებას ნიშნავს.

სამუშაოთა დასახული გეგმის შესასრულებლად საჭირო იქნება გამოზიდულ იქნას 22 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ქვიშისა და ხრეშის ბალასტი და მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ღორღი. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ასეთი რაოდენობის ბალასტის დროულად მიტანა სამუშაოთა ადგილებზე, საჭიროა წინასწარ გაიხსნას ათობით ახალი კარიერი.

მრეწველობამ უკვე დაიწყო ტრანსპორტისათვის ახალი რელსების მიწოდება. მაგრამ სწორი არ იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ მრეწველობა წელს შესძლებს სავსებით დააკმაყოფილოს ტრანსპორტის საჭიროებანი. ამიტომ რკინიგზელთა ამოცანაა მოახდინონ შინაგანი რესურსების მობილიზაცია, სრულად გამოიყენონ ძველი ვარგისი მასალები, რელსები, ზესადებები, სამაგრები, გააფართოონ თავიანთ სახელოსნოებში საისრო გადამყვანების, ჯვარედების, ომბოხებების, ჭანჭიკების დამზადება.

გზებზე ტვირთბრუნვისა და მოძრაობის მასშტაბების განუხრელი ზრდა დიდ მოთხოვნებს უყენებს სალიანდაგო მეურნეობას. ბევრ უბანზე კი ეს მეურნეობა ძლიერ გაცვეთილია. რკინიგზელთა მოვალეობაა, რადაც უნდა დაუჯდეთ შეასრულონ გეგმა, შეასრულონ ყოველ გზაზე, განსაკუთრებით ურალის, ციმბირის, დონბასის, კუბიშევის, ორენბურგის, ჩრდილოეთ კავკასიის, ორჯონიკიძის, ყაზანის გზების დაძაბული ტვირთზიდვის უბნებზე.

გეგმის წარმატებით შესრულებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მანქანებისა და მექანიზმების სწორად გამოყენება. საჭიროა მათი უმოკლეს ვადაში შეკეთება, უბნებზე სწორად განაწილება, მექანიკოსთა კადრების დროულად მომზადება, თვითეული მანქანის მუშაობის კალენდარული გრაფიკების შედგენა.

სალიანდაგო სამუშაოებისათვის დიდძალი მუშახელი იქნება საჭირო. მუშათა კოლონებში უნდა ჩავაბათ გზების სხვადასხვა სამსახურთა მუშაკები, რკინიგზელთა ოჯახების წევრები, ადგილობრივი მოსახლეობა. აქ საჭირო იქნება პარტიული ორგანიზაციების დახმარება, განსაკუთრებით კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადებისას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა ხარისხს. არავითარი გადახვევა ტექნიკური ნორმებიდან და ტექნოლოგიური პროცესიდან! ლიანდაგი, როგორც რკინიგზის ტრანსპორტის საფუძველი, სავსებით უნდა შეეფერებოდეს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ხარისხისათვის ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საგზაო ინსპექტორებმა—სამუშაოთა მიმღებებმა.

სალიანდაგო მეურნეობის რეკონსტრუქცია რკინიგზის ტრანსპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ახალ სტალინურ ხუთწლედში. საკმარისია ითქვას, რომ რკინიგზის მაგისტრალებზე დაგებული იქნება 50 ათასი კილომეტრი მძიმე ტიპის ახალი რელსები, 15 ათას კილომეტრ რკინიგზის ხაზებს გაუკეთდება ღორღისა და ხრეშის ბალასტი. თავისი მასშტაბებით ეს რამდენიმე უდიდესი მაგისტრალის მშენებლობას უდრის. 1946 წელს მელიანდაგე რკინიგზელებმა სერიოზული გამოცდა უნდა ჩაბარონ და ამით თავისი წვლილი შეიტანონ ახალი ხუთწლედის განხორციელების საყოველთაო სახალხო საქმეში.

„პრავდის“ 18/IV მოწინავე.

ბ-ნ გენერალისიმუს სტალინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ვტოვებ რა ძლიერი და მეგობრული საბჭოთა კავშირის ფარგლებს, სულითა და გულით გიძღვნით უღრმეს მადლობას იმ გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გაუწიეთ უნგრეთის მთავრობის დელეგაციას მოსკოვში ყოფნის დროს. საბჭოთა კავშირის მთავრობასა და უნგრეთის მთავრობის დელეგაციას შორის გულწრფელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს მეგობრობას და იმის რწმენას, რომ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის მტკიცე საფუძველს ემყარება. გისურვებთ თქვენ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, ჯანმრთელობას, რათა კვლავაც გაუძღვეთ საბჭოთა კავშირის ხალხებს აყვავების გზით.

ფერენც ნადი

ბატონ მოლოტოვს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს

იმ მომენტში, როცა ჩვენ ვტოვებთ თქვენი საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს, ნება გვიბოძეთ ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, კვლავ მოგახსენოთ დიდი მადლობა ჩვენ მიერ მოსკოვში გატარებული დაუვიწყარი დღეებისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ამ დარბაზობამ ეფექტიანად შეუწყო ხელი მეგობრობას ჩვენს ქვეყნებს შორის და რომ მეზობელ ხალხებთან საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობრობა ხალხთა აყვავებისა და მტკიცე ხანგრძლივი მშვიდობის მკვიდრ საფუძველს წარმოადგენს.

მიიღეთ, ბატონო მინისტრო, ჩემი საუკეთესო სურვილები, მხურვალე გულითადი სალამი.

იანოშ დიენდეში

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ბ-ნ მ. პეკალას მეთაურობით

17 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. პეკალა, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი რ. ტერნგრენი, მიწათმოქმედების მინისტრი ბ-ნი ვ. ვესტრინენი, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის დესპანი ფინეთში პ. დ. ორლოვი.

ცენტრალურ აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი კ. ვ. ნოვიკოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, ქ. მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 ევროპული განყოფილების გამგე ა. ნ. აბრამოვი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ მოსკოვში მყოფნი ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი რ. სვენტო და ფინეთის ელჩობისა და მრეწველობის მინისტრი ბ-ნი უ. ტაკი, აგრეთვე წევრები ფინეთის მისიისა მოსკოვში დესპან ბ-ნ კ. სუნდსტრემის მეთაურობით, ავლიანეთის ელჩი ბ-ნი სულთან ახმედ-ხანი, კანადის ელჩი ბ-ნი დ. ეიდგრესი, მექსიკის ელჩი ბ-ნი ნ. ბაოლსი, საფრანგეთის ელჩი გენერალი ე. კატრუ, იუგოსლავიის ელჩი ბ-ნი ვ. პოპოვიჩი, იტალიის ელჩი ბ-ნი პ. კვარონი, პოლონეთის ელჩი ბ-ნი გ. რაბე, ჩეხოსლოვაკიის ელჩი ბ-ნი ი. გორაკი, ურუგვაის დესპანი ბ-ნი ე. ფრუგონი, შვეიცარის დესპანი ბ-ნი ს. სედერბლიუმი, ლუქსემბურგის დესპანი ბ-ნი რ. ბლიუმი, დანიის დესპანი ბ-ნი ტ. დესინგი, ერაყის დესპანი ბ-ნი აბას მეხდი, ბულგარეთის დესპანი ბ-ნი ნ. ნიკოლოვი, ავსტრიის პოლიტიკური წარმომადგენელი ბ-ნი კ. ვალდბრუნერი, ეგვიპტის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი მ. ელკუნი, ისლანდიის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი პ. ტორსტეინსტონი, ირანის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ა. ეტესამი, იუგოსლავიის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი დ. გოვორუშჩი, ნორვეგიის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ე. კროგ-ჰანსენი, თურქეთის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ი. იუზელი.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ფინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ მ. პეკალას განცხადება

მოსკოვს ჩამოსვლის შემდეგ აეროდრომზე ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მ. პეკალამ შემდეგი განცხადება გააკეთა მიკროფონთან:

„ბ-ნო მინისტრო, ბატონებო.

ფინეთის მთავრობის დელეგატები, შემოდიან რა—ბევრი ჩვენგანი პირველად—დიდი საბჭოთა კავშირისა და მისი დედაქალაქის ტერიტორიაზე, განსაკუთრებული კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობას განიცდიან.

ჩვენ გამსჭვალული ვართ შეგნებით, რომ ვიმყოფებით იმ სახელმწიფოს ცენტრში, რომელმაც შეუდარებელი ოსტატობითა და სიმამაცით განდევნა თავისი ფარგლებიდან გერმანელი დამპყრობნი, საბოლოოდ დაამარცხა რა ისინი, და რომელმაც ამით მსოფლიო იხსნა ფაშისტური თვითნებობისაგან, ხოლო მცირე ხალხები მონობისაგან.

ჩვენ ღრმა პატივისცემით ვართ გამსჭვალულნი ამ მძლავრი სახელმწიფოს და მისი დიდი ბელადის გენერალისიმუს სტალინისადმი“.

ბ-ნ მ. პეკალას მეთაურობით

18 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალ-სიმუსმა ი. ბ. სტალინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღეს ფინეთის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. პეკალა, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი რ. სვენტო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი უ. ტაკი, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ტერნგრენი და მიწათმოქმედების მინისტრი ბ-ნი ვ. ვესტრინენი.

მიღებას აგრეთვე დაესწრნენ: ფინეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი სუნდსტრემი და სსრ კავშირის დესპანი ფინეთში პ. დ. ორლოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს რწმუნებების სიგელები გადასცა ბულგარეთის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა ნაიდენ ნიკოლოვმა

18 აპრილს, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ბულგარეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ნაიდენ ნიკოლოვი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ბ-ნ ნ. ნიკოლოვს ახლდნენ მისიის მრჩეველი ბ-ნი ა. ნიკოლაევი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი პ. ილიევი, მრჩეველი პრესის საქმეთა დარგში ბ-ნი ხ. რადევსკი, მისიის მესამე მდივანი ბ-ნი დ. პეევი, სავაჭრო მრჩევლები ბ-ნები ბ. ხრისტოვი და ე. ვლადოვი, რომლებიც დესპანმა წარუდგინა ნ. მ. შვერნიკს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. ლავრიშჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ნ. მ. შვერნიკს საუბარი ჰქონდა ბ-ნ ნ. ნიკოლოვთან. საუბარში მონაწილეობა მიიღო ვ. გ. დეკანოზოვმა.

ბ-ნ ფერენც ნადის მეთაურობით უნგრეთის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის შესახებ

9 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი, რომელსაც ახლდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი არპად საკაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იანოშ დიენდეში და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი ერნე გერე.

საუბრების დროს, რომლებიც მოხდა, ერთი მხრივ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინს და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვსა და, მეორე მხრივ, ბ-ნ ფერენც ნადს, ბ-ნ არპად საკაშიჩს, ბ-ნ იანოშ დიენდეშსა და ბ-ნ ერნე გერეს შორის, განხილულ იქნა უნგრეთის მიერ საბჭოთა კავშირის წინაშე ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. საბჭოთა კავშირის მთავრობამ მხედველობაში მიიღო უნგრეთის მთავრობის თხოვნა და დათანხმდა საბჭოთა კავშირისათვის რეპარაციათა გადახდის ვადა გაუგრძელოს უნგრეთს ექვსიდან რვა წლამდე.

მოხდა აგრეთვე აზრთა გაცვლა-გამოცვლა სსრ კავშირისა და უნგრეთის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხზე და ორივე ქვეყნის ურთიერთობის სხვა საკითხებზე.

საუბარი ტარდებოდა მეგობრულ ვითარებაში, რაც შეესაბამება სსრ კავშირისა და უნგრეთს შორის დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

18 აპრილს ბ-ნი ფერენც ნადი და მისი თანმხლები მინისტრები უნგრეთს გაემგზავრნენ.

მოსკოვიდან გაემგზავრა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ფერენც ნადის მეთაურობით

18 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრნენ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ფერენც ნადი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი ა. საკაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. დიენდეში და გზათა და კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი ე. გერე.

ამავე დროს მოსკოვიდან გაეგზავრა სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი.

ცენტრალურ აეროდრომზე წამსვლელნი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. გ. დეკანოზოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. იასნოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა საინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ა. ა. ლავრიშჩევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვმა.

ცენტრალურ აეროდრომზე უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფერენც ნადმა შემდეგი განცხადება გააკეთა ჩვენი მიკროფონის წინ:

ჩემი სახელით, ჩემი კოლეგების — მინისტრების სახელით, ჩვენი ცოლების სახელით, მთელი მთავრობის დელეგაციის სახელით გულითადი გრძნობებით აღსავსე ვეთხოვები საბჭოთა კავშირის მშვენიერ დედაქალაქ მოსკოვს და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც სიამოვნება გვქონდა გაგვეცნო და რომლებთანაც განვიხილეთ ორივე ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები.

ჩვენ აქ ვპოვეთ ყურადღებისა და მეგობრობის ისეთი გამოხატულება, რომ შეგვიძლია ამაზე ვილაპარაკოთ მხოლოდ უღრმესი და აღფრთოვანებული მადლობის სიტყვებით.

იმედით აღსავსე გულით მოვემგზავრებოდით მოსკოვს. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მეგობრობა, რომელსაც უნგრელი ხალხი თავის გულში საბჭოთა კავშირისადმი განიცდის, მეგობრობა, რომელიც საბჭოთა კავშირს არა ერთხელ გამოუჩენია ჩვენდამი, კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

ჩვენ არ მოვტყუებულვართ ჩვენს მოლოდინში. ჩვენ აქ ისეთი წმინდა და შესანიშნავი გულწრფელი მეგობრობა ვპოვეთ, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ უდიდეს პატივად ჩვენთვის.

მოსკოვში ჩვენი ყოფნის შედეგებმა სავსებით დაგვარწმუნეს, რომ დიდ სახელმწიფოებსა და მცირე ხალხებს შორის შეიძლება იყოს გულწრფელი, უანგარო, ორივე ქვეყნისათვის ტოლფასიანი მეგობრობა. ეს დიდი იმედია მთელი მსოფლიოს მცირე ხალხებისათვის.

ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა, თათ მიერ მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანში განხორციელებულმა შესანიშნავმა შრომამ.

ჩვენ აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს საბჭოთა ხალხის გმირულ ღონისძიებებს. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი დარაზმულობა, ასეთი ღონისძიებანი საშუალებას მისცემენ საბჭოთა კავშირს ძალე მოიშუშოს ომით მიყენებული ჭრილობები.

ჩვენ, უნგრელებს, თან მიგვაქვს ბევრი რამ საგულისხმო, რაც მოსკოვში ჩვენი ყოფნით შევიძინეთ.

როცა უღრმეს მადლობას ვუძღვნი საბჭოთა კავშირის დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ მოლოტოვს ჩვენს მიმართ გამოჩენილი სიმპატიისა და მეგობრობისათვის, გამოვთქვამ სურვილს: დაე ამ ყურადღებისა და მეგობრობის პასუხი იყოს უნგრელი ხალხის გულწრფელი, ერთგული, მუდამ უჭკნობი მეგობრობა.

გამოვთქვამ სურვილს, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ესოდენ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში და ასეთი შესანიშნავი ძიღწევები მოიპოვა, უმოკლეს ხანში მიაღწიოს თავის მიზნებს, მის მიერ დასახული გეგმების მთლიანად შესრულებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებს!

გაუმარჯოს გენერალისიმუს სტალინს!

ბ-ნ ფერენც ნადის განცხადება

აეროდრომზე უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფერენც ნადმა შემდეგი განცხადება გააკეთა ჩვენი მიკროფონის წინ:

ჩემი სახელით, ჩემი კოლეგების — მინისტრების სახელით, ჩვენი ცოლების სახელით, მთელი მთავრობის დელეგაციის სახელით გულითადი გრძნობებით აღსავსე ვეთხოვები საბჭოთა კავშირის მშვენიერ დედაქალაქ მოსკოვს და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც სიამოვნება გვქონდა გაგვეცნო და რომლებთანაც განვიხილეთ ორივე ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები.

ჩვენ აქ ვპოვეთ ყურადღებისა და მეგობრობის ისეთი გამოხატულება, რომ შეგვიძლია ამაზე ვილაპარაკოთ მხოლოდ უღრმესი და აღფრთოვანებული მადლობის სიტყვებით.

იმედით აღსავსე გულით მოვემგზავრებოდით მოსკოვს. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მეგობრობა, რომელსაც უნგრელი ხალხი თავის გულში საბჭოთა კავშირისადმი განიცდის, მეგობრობა, რომელიც საბჭოთა კავშირს არა ერთხელ გამოუჩენია ჩვენდამი, კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

ჩვენ არ მოვტყუებულვართ ჩვენს მოლოდინში. ჩვენ აქ ისეთი წმინდა და შესანიშნავი გულწრფელი მეგობრობა ვპოვეთ, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ უდიდეს პატივად ჩვენთვის.

მოსკოვში ჩვენი ყოფნის შედეგებმა სავსებით დაგვარწმუნეს, რომ დიდ სახელმწიფოებსა და მცირე ხალხებს შორის შეიძლება იყოს გულწრფელი, უანგარო, ორივე ქვეყნისათვის ტოლფასიანი მეგობრობა. ეს დიდი იმედია მთელი მსოფლიოს მცირე ხალხებისათვის.

ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა, თათ მიერ მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანში განხორციელებულმა შესანიშნავმა შრომამ.

ჩვენ აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს საბჭოთა ხალხის გმირულ ღონისძიებებს. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი დარაზმულობა, ასეთი ღონისძიებანი საშუალებას მისცემენ საბჭოთა კავშირს ძალე მოიშუშოს ომით მიყენებული ჭრილობები.

ჩვენ, უნგრელებს, თან მიგვაქვს ბევრი რამ საგულისხმო, რაც მოსკოვში ჩვენი ყოფნით შევიძინეთ.

როცა უღრმეს მადლობას ვუძღვნი საბჭოთა კავშირის დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ მოლოტოვს ჩვენს მიმართ გამოჩენილი სიმპატიისა და მეგობრობისათვის, გამოვთქვამ სურვილს: დაე ამ ყურადღებისა და მეგობრობის პასუხი იყოს უნგრელი ხალხის გულწრფელი, ერთგული, მუდამ უჭკნობი მეგობრობა.

გამოვთქვამ სურვილს, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ესოდენ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ომში და ასეთი შესანიშნავი ძიღწევები მოიპოვა, უმოკლეს ხანში მიაღწიოს თავის მიზნებს, მის მიერ დასახული გეგმების მთლიანად შესრულებას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებს!

გაუმარჯოს გენერალისიმუს სტალინს!

ფაშისტური ინდივიდუალური მეცხოველეობა

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან არსებულმა მუშებისა და მოსამსახურეების მეგობსტნეობისა და მეცხოველეობის ხელისშემწყობმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ინდივიდუალური მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარების შესახებ. გასული წლის დამდეგისათვის ქალაქებისა და მუშათა დაბების მშრომელთა პირად სარგებლობაში ითვლებოდა დაახლოებით ხუთი მილიონი ძროხა და დეკეული, ოთხ მილიონზე მეტი ცხვარი და თხა, დაახლოებით ერთი მილიონი ღორი. წლის განმავლობაში მახვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ჯოგი 800 ათასზე მეტი სულით გადიდდა. ინდივიდუალური მეცხოველეობა მნიშვნელოვნად განვითარდა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში — მოსკოვის, სვერდლოვსკის, კემეროვოს და სხვა ოლქებში.

კომიტეტმა წინადადება მისცა პროფორგანიზაციებს თავის დროზე მიაღწიონ იმას, რომ გამოყოფილ იქნას სათიბები და საძოვრები თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე, საბჭოთა მეურნეობებში, დამხმარე მეურნეობებსა და სატყეოებში. მიცემულია აგრეთვე მითითება სასოფლო-სამეურნეო ბანკში კრედიტების თავის დროზე მიღების შესახებ იმ მშრომელთათვის ფინანსიური დახმარების აღმოსაჩენად, რომელთაც სურთ პირადი სარგებლობისათვის შეიძინონ პირუტყვი.

კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბოსტნებში საგაზაფხულო თესვის შესახებ. პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ მიიღონ სამეწარმოქმედო ორგანოებში საჭირო თესლეული და უზრუნველჰყონ მით მებოსტნეები.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლებმა კომიტეტს მისცეს ცნობები მინერალური სასუქებით მებოსტნეთა მომარაგების შესახებ. (საკდესი).

წითელწყაროს რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

15 აპრილისათვის წითელწყაროს რაიონმა შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. დათესილია 10.157 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.970 ჰექტარისა. თესვა გრძელდება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები

მომდინარე წლის ოქტომბერში ჩატარდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ახალი ნამდვილ

საიანის სიტყვა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობაზე

პარიზი, 12 აპრილი. (საკ.ინფ.). ლუი საიანმა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობაზე გააკეთა მოხსენება „შრომის საყოველთაო კონფედერაცია და საერთაშორისო პოლიტიკა". მან აღნიშნა, რომ მოხსენებას აკეთებს არა როგორც პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი, არამედ როგორც შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი, რათა საშუალება ჰქონდეს გააშუქოს საერთაშორისო მდგომარეობა „სრულიად დამოუკიდებლად, სრულიად თავისუფალი მსჯელობისა და შეფასების პირობებში".

მის მოხსენებაში ნათქვამია:

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ჩვენთვის, პროფკავშირის წევრებისათვის, ამ საუკუნის მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პერიოდის დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც ღერძის სახელმწიფოთა სატელიტები გახდნენ და სადაც დამყარებული იყო დამოუკიდველი დიქტატურები, მათი არბიტრის სამხედრო დამარცხებათა შედეგად ახლა დამყარდა ახალი პოლიტიკური რეჟიმები, რომლებიც ახალ სოციალურ ცხოვრებას წარმოშობენ.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია აღნიშნავს ამ ცვლილებებს, ამ ევოლუციას არა მარტო როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ახალი ძლიერების ფაქტორს, არამედ აგრეთვე როგორც უშიშროებისა და შშვიდობის ფაქტორს.

ჩერჩილმა თავის უმარჯვესულო სიტყვებში, რომლებიც წარმოსთქვა მარტში ამერიკის შეერთებულ შტატებში, თქვა: არავინ იცის, თუ რა ხდება ევროპაში ეგრეთწოდებული „რკინის ფარდას" იქით. შრომის საყოველთაო კონფედერაციის 26-ე ყრილობას შეუძლია გასუცხადოს მას: იქ საინტერესო ამბები მოხდა და იქ ახლაც ხდება ასეთი მოვლენები, რომლებიც მოასწავებენ მშრომელი კლასების საბოლოო განთავისუფლებას იმ ჩაგვრისაგან, რასაც ისინი განიცდიდნენ.

ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დიდ კონსერვატორს პოლიტიკაში, რომელიც დიდი სამხედრო გენიოსი იყო, ეს არ ესმის. მაგრამ ის, რაც მან მოიფიქრა სანიტარული კორდონის განახლების შესახებ, და ის, რომ იგი ოცნებობს არავინ იცის რა სადემარკაციო ხაზზე, რომელიც გამოსავალი მომენტი იქნებოდა მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, გვაძლევს ორი შენიშვნა გავაკეთოთ, რომლებიც აგრეთვე ფაქტების კონსტატაციას წარმოადგენენ.

1) ისევე როგორც 1914-1918 წლების ომის შემდეგ ბრიტანეთის პროფკავშირებმა არ მოისურვეს გაპყოლოდნენ თავიანთი ქვეყნის ლიბერალებსა და კონსერვატორებს ანტისაბჭოთა ლაშქრობაში, ახლაც დიდი ბრიტანეთის პროფკავშირთა 7 მილიონი წევრი უარს ამბობს ძიჰყვეს ჩერჩილის კვალს;

2) მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბალკანეთში და ცენტრალურ ევროპაში შეუძლებელი იქნება თანამონაწილეთა პოვნა, რომელთაც იქ წინათ შეჰვდებოდით, რათა ვინმემ სცადოს მშვიდობიანობისათვის ძირისგაოთხრა. ეინიდან ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში არიან დემოკრატიული ძალები, რომლებიც შეიცავენ დიდ პროფკავშირულ ძალებს. ეს ძალები შესძლებენ სერიოზული დაბრკოლება გახდნენ ყველა იმათ გზაზე, ვინც ოცნებობს აგრესიაზე, ან ომზე.

როცა შრომის საყოველთაო კონფედერაციამ ამ ფაქტებს აღნიშნავს, მას არ სურს არც იუბედოს, არც ერთგვარი ფილოსოფიური დისერტაციები წარმოადგინოს თემაზე, თუ რა შეიძლება იყოს ბალკანეთის დემოკრატია, აღმოსავლეთის დემოკრატია ან დასავლეთის დემოკრატია. ჩვენთვის დემოკრატია ის წყობილებაა, რომელიც მშრომელებს საშუალებას აძლევს თავისუფლად მოეწყონ და ყოველდღიურად დაიცვან თავიანთი ინტერესები.

ეს ის წყობილებაა, რომელიც მუშათა კლასს საშუალებას აძლევს გახდეს ერის ნაწილი და სოციალური პროგრესისა და ახალ სამოქალაქო თავისუფლებათა ევოლუციის შეჰქმნას არსებობის პირობები, რომელსაც მშრომელები ამჟამად უფრო მაღალ, თანამედროვე, ცივილიზაციის ფორმების შესაფერ დონეზე. მოვიყვან ორ მაგალითს: ბულგარეთის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები, მამაკაცები და ქალები ახლა ორგანიზებული არიან ძლიერ აქტიურ პროფკავშირებად, რომლებიც განახორციელებენ შემოქმედებითსა და რეფორმისტულ სინდიკალიზმს. ისინი ახალ დემოკრატიას ჰქმნიან.

ბულგარეთში არც ერთ პროფკავშირულ მუშაკს შიში არა აქვს თავისი ყოველდღიური საქმიანობის გამო. უფრო მეტიც, სახელმწიფო ხელისუფალნი მუშაობენ პროფკავშირებთან ჭეშმარიტ თანამშრომლობით, აღწევენ ამ თანამშრომლობას, ხოლო, ჩერჩილის აზრით, ეს პროფკავშირები რკინის ფარდას იქით იმყოფებიან. ავიღოთ მეორე მაგალითი: საბერძნეთი და კვიპროსი; ერთი თვეც არ გავა, რომ არ მივიღო დეპეშები, რომლებითაც მატყობინებენ, რომ იქ დაატყვევეს, საპყრობილეში ჩასვეს ან პროფკავშირის ბინიდან გამოსვლისას მოჰკლეს პროფკავშირის მდივანი; მკელლები არიან დაჭრილებული ან და თვით მთავრობის ჯარები.

თუ შრომის საყოველთაო კონფედერაციის 26-ე ერთგულ ყრილობას წინადადებას მისცემდა არჩევანი გაეკეთოს ბულგარეთის აღმოსავლეთის დემოკრატიასა, რომლის დაგმობაც სურთ, და საბერძნეთის ეგრეთწოდებულ დემოკრატიას შორის, რომელსაც ყოველმხრივ წყალობენ, მე უყოყმანოდ ვიტყოდი, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობა მზად იქნებოდა დაეგმო უკანასკნელი და მოეწონებინა პირველი.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი საბერძნეთის ამბებმა გაართულეს საერთაშორისო ატმოსფერო და დაძაბულობა შეჰქმნეს ბალკანეთის სამხრეთში.

ასეთ პირობებში ჩვენ გვსურს გამაფრთხილებელი ზომები მივიღოთ არეულობის დამნაშავეთა წინააღმდეგ და იმათ წინააღმდეგ, ვინც შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ჩვენ ბასიერნი დავრჩებით ამ ამბების წინაშე.

საბერძნეთის მთავრობამ ამას წინათ ბულგარეთის პროფკავშირების დელეგაციას ატყრძალა გადასულიყო საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე, რათა მისალმებოდა საბერძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ყრილობას. ვთხოვ ყრილობას იკისროს ინიციატივა და წინადადებით მიმართოს პროფკავშირების მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ორი თვის შემდეგ შეიკრიბება, მოიწვიოს საინფორმაციო კონფერენცია ბუქარესტში, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ალბანეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის ცენტრალური პროფკავშირული ორგანიზაციები, რათა განმტკიცდეს სოლიდარობის ძმური კავშირი ამ ქვეყნების ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისა და მუდმივი სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად ევროპის ამ ნაწილში.

ვფიქრობ, რომ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაცია, თუ ასე მოიქცევა, შესაძლებელს გახდის განმტკიცდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ავტორიტეტი და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ნდობა მისდამი.

ამ წინადადებაში არ უნდა დავინახოთ ბალკანეთის პროფკავშირული ბლოკის შექმნის რაიმე ცდა, დაე ეს განსაკუთრ მხოლოდ ჩვენი განზრახვების მიხედვით: ევმსახუროთ მშვიდობას და ჩავშალოთ ომის გამჩაღებელთა გეგმა.

ახლა გადავდიგარ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის სხვა ამოცანებზე საერთაშორისო დარგში. ვილაპარაკოთ ჩვენი ხვალინდელი მოქმედების შესახებ, რაც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ დაგეხმაროთ რესპუბლიკურ ესპანეთს. ყრილობამ მოიწონა გადაწყვეტილება, მიღებული შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ 1946 წლის 25 თებერვალს და მიმართული იმისაკენ, რომ შესწყდეს ყოველგვარი საქონლებრუნვა და ეკონომიური ურთიერთობა ესპანეთთან.

ზოგიერთ ქვეყანაში მშრომელები კმაყოფილებთ მიესალმნენ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ამ გადაწყვეტილებას. საფრანგეთის მთავრობამ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილებანი, რომლებიც ახდენენ ჩვენ მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა ლეგალიზებას, რაც შეესაბამება ჩვენი პროფკავშირული დამოუკიდებლობის გამოვლინებას.

მას შემდეგ პირენეის საზღვარზე არაფერი იგზავნება და ფრანგი მეზღვაურები არაფერს აწვდიან ფრანკისტულ ესპანეთს. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ ჩვენ ამას დავჯერდებით?

არსებითად უკანასკნელი ომი დაიწყო 1936 წლის ივლისში ფრანკოს აგრესიით ესპანეთის კანონიერი რესპუბლიკური კონსტიტუციური მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენთვის, მუშათა კლასის აქტიური მოღვაწეებისათვის, ჩვენთვის, პროფკავშირული ანტიფაშისტი მოღვაწეებისათვის, ჩვენთვის, ინტერნაციონალისტებისათვის, ეს ომი ნამდვილად დამთავრდება, როცა ჩვენი ამხანაგები ესპანეთის პროფკავშირებიდან განთავისუფლებულ მადრიდში მიიღებენ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის დელეგაციას. რა უნდა გავაკეთოთ იმ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ გვაკისრია?

1) უნდა განვაგრძოთ საქმიანობა, რაც ეხება 1946 წლის 25 თებერვალს დავიწყეთ.

2) ჩვენ მივმართავთ ჩვენს ამხანაგებს იტალიის პროფკავშირებიდან, ჩვენს ამხანაგებს ბელგიის, ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთის, ისლანდიისა და ჩრდილოეთ ამერიკის პროფკავშირებიდან და მოვუწოდებთ მათ შეასრულონ საერთაშორისო სოლიდარობის მოვალეობა. საერთაშორისო სოლიდარობის ეს მოვალეობა მათთვის ის არის, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ მოქმედება, რომელიც საბოლოოდ შეაჩერებს ყოველგვარ მიმოზიდვას ესპანეთში ან ესპანეთიდან. მე არა მსურს აქ კრიტიკით გამოვიდე. მე მსურს მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო. ჟურნალ „სპენ ეკონომიკ ე ფინანსიერის" უკანასკნელ ნომერში აღნიშნულია, რომ ვაჭრობა დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთს შორის მნიშვნელოვნად გადიდდა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში. მართალია თუ არა, რომ ინგლისის ექსპორტი ესპანეთში თებერვალში გადიდდა იანვართან შედარებით?

საიანს ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალიდან მოჰყავს ესპანეთში ინგლისის ექსპორტის გადიდების ციფრები 1946 წლის იანვარსა და თებერვალში.

„თუ ეს ცნობები ზუსტია, განა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციას უფლება არა აქვს მმართოს ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა გენერალურ საბჭოს, რათა ამხანაგურად და ძმურად სთხოვოს მას ჩვენთან ერთად განიხილოს ეს მდგომარეობა? მე მოვახსენებ ყრილობას, რომ ამბ. ლეონ ჟუო

საქართველოს აღგილობრივი მრეწველობა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში

„განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას...“ (ი. სტალინი).

„60. მოეწყოს რესპუბლიკურ მრეწველობაში მცირე ჰიდროტურბინებისა და ჩაის და მეღვინეობის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება; აშენდეს საწონ-საზომი მოწყობილობისა და სიმხურვალის გამძლე ჭურჭლის ქარხანა; გაფართოვდეს ჩაის გადამმუშავებელ და მეღვინეობის საწარმოთა ქსელი.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 265 მილიონი მანეთის რაოდენობით. გადიდდეს აბრეშუმის ქსოვის წარმოება“.

(კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ქვეთავი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში“).

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის დამუშავებისას ძირითად სახელმძღვანელო მოსაზრებად მიღებული იყო შემდეგი:

მიღწეულ უნდა იქნას ფართო მოხმარების საგნთა წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება, როგორც არსებულ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდებით, ისე ახალ საწარმოთა აგებითა და ამუშავებით.

უნდა გაფართოვდეს მინერალური და არამადნეული ნედლეულის მოპოვება და მოეწყოს ახალი საწარმოები ნედლეულის ადგილობრივი რესურსების გადასამუშავებლად.

ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ საწარმოთა სიმძლავრეების სრული ათვისება და ახალ საწარმოთა აგება-ამუშავება შესაძლებელს გახდის სწრაფად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კეთილდღეობა.

მანქანათმშენებლობა

საქართველოს ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობის წამყვანი დარგია მანქანათმშენებლობა.

მანქანათმშენებლობაში საერთო პროდუქციის ზრდა 1950 წლისათვის 1945 წელთან შედარებით ნავარაუდევია 66,5 პროცენტით.

გარდა რთული მანქანებისა და მოწყობილობისა, ახალ ხუთწლედში მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი ქარხნები დიდი რაოდენობით ძეუდგებიან ფართო ძოხმარების საქონლის გამოშვებას.

ახალ ხუთწლედში ცალკე ქარხნები იმუშავებენ ძირითადად შემდეგი პროდუქციის გამოსაშვებად.

კალინინის სახელობის ქარხანაში გამოუშვებენ აგურ-კრამიტის ქარხნებისათვის საჭირო საწნეხ მოწყობილობას, ყოველწლიურად 200 ცალს. აქვე, სტილიზებული ლითონის საწოლების გამოშვება წელიწადში 25.000 ცალამდე იქნება აყვანილი.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა გააფართოებს სატრაქტორო დეტალების გამოშვებას, აგრეთვე აითვისებს საზომ-საჭრელ ხელსაწყოთა გამოშვებას. სატრაქტორო დეტალებს ქარხანა ყოველწლიურად მოგვცემს 1 მილიონი მანეთისას, ხოლო საზომ-საჭრელ ხელსაწყოებს 3 მილიონი მანეთისას. გარდა ამისა, ეს ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 25.000 ცალ გაუმჯობესებული სისტემის ნავთქურას და 200 ტონა ალუმინის ჭურჭელს.

26 კომისრის სახელობის ქარხანა ძირითადად იმუშავებს მცირეძალიანი ჰიდროტურბინების, სიმძიმეთა გადასატანი ტრანსპორტიორების, საფეიქრო და აბრეშუმსაქსოვი მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებაზე. მარტო საფეიქრო და აბრეშუმსაქსოვ მანქანებს ქარხანა ყოველწლიურად 5.000.000 მანეთის ღირებულებისას გამოუშვებს. ფართო მოხმარებისათვის ქარხანა მასობრივად გამოუშვებს ქრომირებულ და ნიკელირებულ კოვზებს.

არამადნეულთა მრეწველობა

არამადნეულ წიაღისეულთა მრეწველობა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ძლიერ სწრაფად გაიზრდება. 1945 წელთან შედარებით ეს ზრდა 549,2 პროცენტს უდრის.

არამადნეული წიაღისეული რესურსების (სხვადასხვა თიხები, ტალკი, ანდეზიტი და ა. შ.) ბაზაზე გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი ქარხნების აგება-ამუშავება. მათ შორის პირველ რიგში აგებულ იქნება ფაიფურის ჭურჭლეულის ახალი ქარხანა თბილისში, თერმო-საიზოლაციო ნაწარმთა ქარხანა ასკანიტისა და დიატომიტის ბაზაზე, აგრეთვე სიმხურვალის გამძლე ჭურჭლეულის ქარხანა ცეცხლგამძლე თიხების საბადოთა ბაზაზე.

ქიმიური მრეწველობა

ქიმიური მრეწველობის დარგში საერთო პროდუქციის ზრდა 1950 წლისათვის 1945 წელთან შედარებით ნავარაუდევია 263,6 პროცენტით. ეს ზრდა უნდა მოხდეს უმთავრესად ახალი ქიმიური ქარხნების აგება-ამუშავების შედეგად.

ქიმიური მრეწველობის გაფართოება მარტო საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით ნავარაუდევია ისეთი მასშტაბით, რომ 1950 წელს ამ მრეწველობამ მოგვცეს 10.000 ტონა გოგირდის მჟავა, 6.000 ტონა სოდა, 60 ტონა პერმანგანატი, 5.000 ტონა შაბიამანი, 150 ტონა კარბიდ-კალციუმი, 60 ტონა მშრალი წებო და სხვ.

სამშენებლო მასალათა სიუხვისათვის

საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფო მრეწველობის განვითარების გეგმა ითვალისწინებს უახლოეს წლებშივე სამშენებლო მასალების სიუხვის შექმნას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაიონული საწარმოების გაფართოება-გამრავლებას და ისეთ ძირითად სამშენებლო მასალათა გამოშვების გადიდებას, როგორიც არის აგური, კრამიტი, კირი, გაჯი და სხვ. ამ მიზნით მარტო რაიონული მრეწველობის ხაზით 1946-1950 წლებში დაბანდებული იქნება 47.155.000 მანეთი. იმისათვის, რომ ეფექტი მალე იქნეს მიღებული, ძირითადი კაპიტალური მშენებლობა გაჩაღდება და დამთავრდება 1946-47 წლებში. მიმდინარე წელს სამშენებლო მასალათა საწარმოების აგებაზე გათვალისწინებულია 32.938.000 მანეთის ათვისება.

ახალი ხუთწლედის ბოლოს აგგილობრივი მრეწველობის ხაზით ძირითად სამშენებლო მასალათა წარმოება გადიდებული იქნება: აგურისა — 371 პროცენტით (ყოველწლიურად გამომუშავებული იქნება 52 მილიონი ცალი აგური), კრამიტისა—619 პროცენტით, კირისა — 595 პროცენტით.

ახალი ფაბრიკა-ქარხნები

მეოთხე ხუთწლედში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის ხაზით აშენდება რამდენიმე ახალი საწარმო, რომლებიც ფართო მოხმარების საგნების გამოსაშვებად იმუშავებენ.

მომდინარე წელს გადაწყვეტილია დაიწყოს **სიმხურვალის გამძლე ჭურჭლის** ქარხნის მშენებლობა, რაც ერთი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს. ქარხანა ყოველწლიურად მოგვცემს 1 მილიონი ლიტრის მოცულობის სიმხურვალის გამძლე ჭურჭელს (ჭოთნები, ტაფები და სხვ.). ნედლეულად ქარხანა გამოიყენებს ცეცხლაურის თიხას. ჭურჭელი ლამაზად იქნება დამუშავებული. ქარხნის აგება 5.800.000 მანეთი დაჯდება.

1946 წლის ბოლომდე თბილისში დაიწყება **ფაიფურის ჭურჭლის ქარხნის** მშენებლობა. ეს ქარხანა გამოუშვებს თეფშებს, ლამბაქებს, ჩაიდნებს, ფაიფურის სასმისებს, ფიალებს, თასებს და ა. შ. ამ ქარხნის აგებასა და ამუშავებას საქართველოში განსაკუთრებული ეკონომიური ეფექტი ექნება. საქმე ის არის, რომ საქართველოში ახალ ხუთწლედში ყოველწლიურად საჭირო იქნება 2.250 ტონა ფაიფურის ჭურჭლეული. შორი მანძილიდან ამ ჭურჭლის შემოტანა იწვევს ტრანსპორტის გადატვირთვას, ამასთან გადმოზიდვისას დიდძალი ჭურჭელი იმსხვრევა. ფაიფურის დასამზადებლად საჭირო ნედლეული საქართველოში საკმაოზე მეტიც არის. ახალი ქარხნის აგება 1948 წელს დამთავრდება. მისი აგება და მოწყობა 10.500.000 მანეთი დაჯდება.

1948 წელს დამთავრდება **ახალი ქიმიური ქარხნის** აგება. ეს ქარხანა, რომელიც 3.145.000 მანეთი დაჯდება, გამოუშვებს პერმანგანატს, გოგირდოვან ნატრიუმს, კარბიდ-კალციუმს, შაბიამანს და მრავალი სხვა სახელწოდების პროდუქციას.

გადაწყვეტილია **წებოს სახარში ახალი საწარმოს** აგებაც. ეს მშენებლობა 910.000 მანეთი დაჯდება. ამ ქარხნის ამუშავების შემდეგ ქიმკომბინატის № 2 ქარხანა, რომელიც მოძველებულია, საჭირო აღარ იქნება. წებოს ქარხანა ყოველწლიურად 60 ტონა მშრალ პროდუქციას მოგვცემს.

გადაწყვეტილია აგრეთვე რამდენიმე სხვა ქიმიური საწარმოს აგება-ამუშავება. მაგალითად, აგებულ იქნება **სოდის ქარხანა,** რომელიც იმუშავებს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, **გოგირდმჟავას ქარხანა,** რომელიც 1950 წელს უნდა ამუშავდეს და სხვ.

მომდინარე 1946 წელს დაიწყება **ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის,** აგრეთვე ახალი **სარემონტო-მექანიკური ქარხნის, სასკოლო - საკანცელარიო ნივთების კომბინატის** მშენებლობა და სხვა. ამ კომბინატში შედგა რამდენიმე ფაბრიკა. მათ შორის **საბავშვო სათამაშოების ახალი** მექანიზებული ფაბრიკა, რომელსაც ექნება საკონსტრუქტორო ბიურო ახალი საბავშვო სათამაშოების შესაქმნელად და **ავეჯის ფაბრიკა,** რომელიც უმთავრესად ახალი სტილის ავეჯს გამოუშვებს. აიგება საზიდარ-სატრანსპორტო საშუალებათა ახალი ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 3.000 ცალ საზიდარს („ტაჩკა“, ფურგონი) გამოუშვებს.

მეფუტკრეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, მთავრობის დავალებით 1946 წელს დაიწყება სკის ფაბრიკის მშენებლობა. მისი აგება 1.700.000 მანეთი დაჯდება. ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 20.000 ცალ გაუმჯობესებული კონსტრუქციის სკის ყუთს.

გეგმით გადაწყვეტილია აგრეთვე **ემალირებული ჭურჭლის ქარხნის** აგება. ეს ქარხანა ყოველწლიურად 300 ტონა ჭურჭელს (თუნგი, ჩაიდანი, თეფში, სასმისი, ქვაბი და ა. შ.) გამოუშვებს.

საწარმოთა რეკონსტრუქცია

არსებულ საწარმოთა სიმძლავრეების გასადიდებლად ახალ ხუთწლედში მოხდება მთელი რიგი არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებულია 3.991.000 მანეთი. რეკონსტრუქციის შემდეგ ეს ქარხანა შესძლებს გაადიდოს ძირითადი პროდუქციის გამოშვება. ქარხნის სარეკონსტრუქციო სამუშაოთა დამთავრებია ვადად დანიშნულია 1948 წლის მეორე ნახევარი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა, რომელიც ამჟამად საგრძნობლად მოცვეთილი დანადგარებით მუშაობს, გადაკეთებული იქნება წყალსადენი და ორთქლსადენი არმატურის დამამზადებელ საწარმოდ. სამაგიეროდ აიგება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ახალი ქარხანა, რომელიც 1948 წელს ამუშავდება.

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა გაიყოფა ორ დამოუკიდებელ საწარმოდ. პირველ ქარხანაში იმუშავებენ საწნეხების და ამწევ-სატრანსპორტო მოწყობილობის, აგრეთვე ლითონის საწოლების გამოშვებაზე, ხოლო მეორე ქარხანა—ლურსმნის, ფურნიტურისა (ფეხსაცმლის მრეწველობისათვის საჭირო დამხმარე მასალების) და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის გამოშვებაზე. (მარტო ლურსმანს ეს ქარხანა წელიწადში 2.000 ტონას მოგვცემს).

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელი ქარხნების რეკონსტრუქციისათვის მეოთხე სტალინურ ხუთწლედში გათვალისწინებულია 37.400.000 მანეთის ათვისება.

ყველა ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხუთწლედის ბოლო წელიწადს—1950 წელს საქართველოს სსრ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქვემდებარე საწარმოებმა უნდა მოგვცენ მანქანამოწყობილობანი—56.300.000 მანეთისა (1926-27 წლების უცვლელ ფასებში), არამადნეულისაგან დამზადებული პროდუქცია—14.200.000 მანეთისა, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია—6.000.000 მანეთისა.

ხაშურის რაიონის პატარა ახალსოფლის კოლმეურნეობა „ძმათა ოჯახში“ ამოწმებენ კარტოფილის თესლს. სურათზე (მარჯვნიდან): სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბლიაძე, კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. ბითაძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გელაშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობა „შრომელ გლეხში“ სთესენ შაქრის ჭარხლის სტახანოვურ ჰექტარებს. სურათზე (მარჯვნიდან): კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ტუსიაშვილი და მერგოლური ი. ახალკაცი.

ფოტო რ. აკოფოვისა

„მეჯი სტახანოვური ჰექტარები!“

გამოხმაურება გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილზე

სამტრედიის რაიონი

დიდი ინტერესით გაეცნენ სამტრედიელი კოლმეურნეები გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილს „მეტი სტახანოვური ჰექტარები!“. კოლმეურნეობებში გაჩაღდა ბრძოლა 1946 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად.

გასულ წელს მოწინავე კოლმეურნეებმა მათთვის მიჩენილ ნაკვეთზე სიმინდის კარგი მოსავალი მიიღეს. წელს სიმინდის სტახანოვური ნაკვეთები 750 ჰექტარამდე დიდდება, ნაცვლად შარშანდელი 200 ჰექტარისა.

სოფელ ხიბლარ-წიფწარის კოლმეურნეობა „ახალი კომუნის“ მეორე ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. გამრეკელიძე) იკისრა დასთესოს 6 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი და ჰექტარზე მოიყვანოს 45 ცენტნერი სიმინდი. შარშან გ. გამრეკელიძის ბრიგადას 4 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი ჰქონდა დათესილი და თვითეულზე 36 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. მთლიანად წელს ამ კოლმეურნეობაში 20 სტახანოვურ ჰექტარს აწყობენ.

სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 8,5 ცენტნერს შეადგენდა. ეს მაშინ, როცა ამავე კოლმეურნეობაში კ. მაისაძის ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა იმიტომ, რომ ნაკვეთები ცალკე კოლმეურნეებს ჰქონდათ მოსავლელად მიჩენილი. წელს ამ წესს კოლმეურნეობაში ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. იანეთელმა კოლმეურნეებმა იკისრეს დასთესონ 25 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი.

სოფელ ნაჩხეტაურის კოლმეურნეობა „შრომაში“ კ. ჯიმშელეიშვილის რგოლმა სტახანოვურ ჰექტარზე მოიყვანა 27 ცენტნერი სიმინდი. სტახანოვური ნაკვეთები დათესილი ჰქონდა კოლმეურნეობის ორივე ბრიგადას. ამ ღონისძიებამ შარშან ძლიერ შეუწყო ხელი კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლიანობის ზრდას. ნაცვლად 14 ცენტნერისა სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 16,5 ცენტნერს შეადგენდა.

— ჩვენმა კოლმეურნეებმა კარგად გაიგეს სტახანოვური ნაკვეთების დიდი მნიშვნელობა, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე აბხ. თამარ გოგოძე, — წელს ჩვენ 18 ჰექტარ სტახანოვურ ნაკვეთს ვთესავთ. სტახანოვური ნაკვეთები მიჩენილი აქვთ მოწინავე კოლმეურნეებს. დღეისათვის ყველა ნაკვეთი ღრმად მოხნულია. ნიადაგი კარგად არის მომზადებული. ამ დღეებში თესვასაც დავიწყებთ.

სოფელ ღანირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე რ. კირთაძე) წელს თვითეული რგოლი 2-2 ჰექტარ სტახანოვურ ნაკვეთს სთესავს. ღანირში სამი კოლმეურნეობაა: სტალინის სახელობის, „წითელი სხივი“ და „პირველი მაისი“. სამივე კოლმეურნეობას ერთნაირი მიწები აქვთ, სიმინდის მოსავლიანობის გეგმა კი შარშან მარტო სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შეასრულა. აქ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,5 ცენტნერისა, ჰექტარზე 15 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. 386 კოლმეურნიდან 343 კოლმეურნემ პრემიანამატის სახით მიიღო 21 ტონა სიმინდი.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. თვითეული საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია წელს 2-დან 4 ჰექტარამდე სტახანოვურ ნაკვეთს სთესავს. ბრძოლა უხვი მოსავლისათვის კოლმეურნეთა მასობრივ მოძრაობად გადაიქცა.

გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი — სამტრედიის რაიონულ გაზეთ „სოციალისტური შეტევის“ რედაქცია

ცხაკაიას რაიონი

სტახანოვურმა ჰექტარებმა დიდად შეუწყეს ხელი მოსავლის გადიდებას. შარშან 91 კოლმეურნემ, რომელთაც ინდივიდუალურად ჰქონდათ მიჩენილი ნაკვეთები, ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღო. სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ლენინის ორდენოსანმა ნაზია კუჭავამ თავის ნაკვეთზე, რომელიც 0,8 ჰექტარს შეადგენდა, 8.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა, ციცი ჩაჩიბაიამ—5.033, ძ. შამათავამ — 3.857 კილოგრამი.

მაღალი მოსავალი მიიღეს აგრეთვე სოფელ ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ტატიანა ტყეებუჩავამ, უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მ. მიქავამ, გ. შეროზიამ და სხვებმა.

მოწინავე კოლმეურნეობებში მოწყობილი იყო სიმინდის სტახანოვური ჰექტარები. ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 17 ცენტნერი სიმინდი, თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის მერგოლურმა ბაგრატ გვიჩიამ 17 ცენტნერი, ხოლო ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ერმინე ოკუჯავამ—21 ცენტნერი.

წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის ბიურომ, „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილთან დაკავშირებით, კონკრეტული ღონისძიებანი დასახა რაიონში სტახანოვური ჰექტარების უკეთ მოწყობისათვის.

ბიურომ რჩევა მისცა კოლმეურნეობათა გამგეობებს მოაწყონ ჩაის, ციტრუსებისა და სიმინდის სტახანოვური ჰექტარები, ჩააბან კოლმეურნეთა მეტი რაოდენობა ნაკვეთების ინდივიდუალურად დამუშავებაში. რაიმიწგანს, ტექნიკურ კულტურათა განყოფილებას, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დაევალათ სათაევში ჩაუდგნენ სტახანოვური ჰექტარების მოწყობის საქმეს.

რაიონული გაზეთის რედაქციას დაევალა ფართოდ გაშუქოს კოლმეურნეობების, ბრიგადების, რგოლების, ცალკე მოწინავე კოლმეურნეების გამოცდილება სტახანოვური ჰექტარების მოწყობისა და მაღალი მოსავლის მიღების საქმეში.

25 აპრილს მოწვეული იქნება კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, ბრიგადირების, მერგოლურების, მოწინავე ჩაის მკრეფავების, მარცვლეული კულტურების მაღალი მოსავლის ოსტატებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რაიონული თათბირი სტახანოვური ჰექტარებს მოწყობის საკითხებზე.

ბ. მელაშვილი
„კომუნისტის“ კორესპონდენტი

ქარელის რაიონი

კოლმეურნეობებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა გაზეთ „კომუნისტის“ 28 მარტის მეთაურ წერილში აღძრულმა საკითხებმა. ეს წერილი ყველგან განიხილეს და მოწინავე კოლმეურნეებს სტახანოვური ნაკვეთები მიუჩინეს.

ზემოხვედურეთის კოლმეურნეობის მერგოლურმა ნატა თინიკაშვილმა სტახანოვური ნაკვეთი აიღო და იკისრა ერთ ჰექტარზე მოიყვანოს 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამ ნაკვეთში მან უკვე შეიტანა 12 ტონა ნაკელი და 6 ტონა სხვა მინერალური სასუქი. ჭარხალი დათესილია.

ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სონია საზანდარიშვილმა საუკეთესოდ დაამუშავა 0,5 ჰექტარი ჭარხლის ნაკვეთი. მას ნაკისრი აქვს ერთ ჰექტარზე მიიღოს 1.000 ცენტნერი ჭარხალი.

სოფელ ურბნისის კოლმეურნეობის წევრებმა სონია ბარამაშვილმა და თამარ ხანშვილმა მაღალხარისხოვნად დასთესეს შაქრის ჭარხალი. ახალსოფლის კოლმეურნეობამ საჭარხლე ნაკვეთებში შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი სასუქი შეიტანა. სტახანოვური ნაკვეთების მიჩენით კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზოგან სტახანოვური ნაკვეთების მნიშვნელობას არ აფასებენ. სოფელ დირბის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში არც ერთი კოლმეურნისათვის არ მიუჩენიათ სტახანოვური ნაკვეთი. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ქვენატკოცის კოლმეურნეობაში.

ვ. ინასარიძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რადიომიმღები „სალუტი“

ალექსანდროვი (ვლადიმირის ოლქი), 17 აპრილი. (საკდესი). 1 მაისისათვის საჩუქრად რადიოქარხნის კოლექტივი ამზადებს მრავალტალღოვან რადიომიმღებ „სალუტის“ პირველ პარტიას.

რადიომიმღებ „რეკორდს“, რომელიც განკუთვნილია მასობრივი მომხმარებლისათვის, უშვებენ ახალი, უფრო ლამაზი ყუთით და გაუმჯობესებული აკუსტიკით.

წლის ბოლომდე ქარხანა გამოუშვებს 60 ათას მიჰღებს, მათ შორის „სალუტის“ ტიპის ხუთი ათას ცალს.

აპარატურა ფართო მაუწყებელი რადიოსადგურებისათვის

ლენინგრადი, 13 აპრილი. (საკდესი). გუშინ ქარხანა „რადისტმა“ დაამთავრა ლენინგრადის რადიოსახლის სტუდიისათვის ახალი აპარატურის პირველი კომპლექტის აწყობა და გამოცდა. ეს კომპლექტი, რომელიც აღჭურვილია მაღალხარისხოვანი მიკროფონებით და მძლავრი გამაძლიერებლებით, გადაეცემა საოლქო რადიოკომიტეტს. იგი ამუშავდება 7 მაისს—რადიოს დღეს.

უახლოეს ხანში ქარხანა კიდევ გამოუშვებს ასეთი აპარატურის 12 კომპლექტს ჩვენი ქვეყნის უდიდესი ფართო მაუწყებელი რადიოსადგურებისათვის.

საგრაქტორო ბრიგადების რადიოფიკაცია

დონის როსტოვი, 17 აპრილი. (საკდესი). „სოიუზტეხრადიოს“ საოლქო განყოფილება შეუდგა სატრაქტორო ბრიგადების რადიოფიკაციას. აზოვის მტს-ის შვიდ მოწინავე ბრიგადაში, რომლებმაც მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს საგაზაფხულო თესვაში, უკვე მოწყობილია ახალი რადიოდანადგარები. რადიომიმღებნი დადგმულია ალექსანდროვსკის, ვესელოვსკის, მიასნიკოვისა და სხვა მტს-ების ბრიგადებში.

რადიოტექნიკოსები მიემგზავრებიან ორლოვსკის, პროლეტარსკის, სალსკის, სანდატოვსკის მტს-ებში და თან მიაქვთ რადიომიმღებნი სატრაქტორო ბრიგადებისათვის.

ციტრუსების გაშენება

მახარაძის რაიონი

კოლმეურნეობებმა 12 აპრილისათვის ვადამდე 108,9 პროცენტით შეასრულეს ციტრუსების (ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი) გაშენება 1946 წლის გეგმა. დარგულია 89.500 ძირი. ციტრუსების რგვა გრძელდება.

ციტრუსების გაშენების დარგში მაღალი მაჩვენებლები აქვთ სოფელ ნატანების, შრომის, გურიანთის, თხინვალის, კონჭკათის, ნაღობილევის, ჯუმათის კოლმეურნეობებს.

სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — საბჭოთა კავშირის გმირი ვ. კვაჭანტირაძე) 5.000 ძირი ციტრუსი დარგეს. ამ ნაკვეთის მოვლა-დამუშავებისათვის პირადი პასუხისმგებლობა იკისრეს კოლმეურნეებმა რ. კვაჭაძემ, ვ. ტოტოჩავამ, მ. მეავიამ, შ. გიორგაძემ. მათ პირობა დასდეს სანიმუშო ძოვლით 100 პროცენტით გაახარონ ციტრუსები.

ბათუმის რაიონი

ციტრუსების გაშენების 1946 წლის გეგმა რაიონმა აგროტექნიკურ ვადებში 100,1 პროცენტით შეასრულა. დარგულია 40.500 ძირი ციტრუსი: 31.050 ძირი ლიმონი, 6.050 ფორთოხალი, 3.400 მანდარინი.

ნახევარი მილიონი წიწილა

კრასნოდარის მხარის საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებმა ახლანდელი სეზონის დამდეგს 1.650 ათასი კვერცხი ჩააწყეს—შარშანდელზე ნახევარი მილიონით მეტი. ამ სეზონში მნიშვნელოვნად მეტი კვერცხია ჩაწყობილი ინკუბატორებში ჩრდილოეთ ოსეთში, ყირიმის, როსტოვის, გროზნოსა და რსფს რესპუბლიკის ბევრ სხვა ოლქში. რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებმა მომდინარე სეზონში ნახევარ მილიონზე მეტი საადრიო წიწილა მიიღეს.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

13 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 13 აპრილი. (საკადესი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდების ამერიკელი წარმომადგენლის პოლკოვნიკ ენინის მიერ ბრალდებულ კალტენბრუნერის დაკითხვა.

შოშმე მილდნერის ჩვენების თანახმად ჰიტლერული უშიშროების პოლიციის ორგანოებს უნდა მოესპოთ ეგრეთწოდებული „კომანდოსის“ წევრები. კალტენბრუნერი განაგრძობს ყოველივე იმის უარყოფას, რაც მას ბრალად ედება, და აცხადებს, თითქოს ამ ბრძანებათა შესახებ მან არაფერი იცოდა. ამხილებს რა ბრალდებულს სიცრუეში, ბრალმდებელი წარუდგენს მას პირადად მის, კალტენბრუნერის, ხელმოწერილ ბრძანებას, რომელიც ეხება „კომანდოსის“ ჯგუფების მოსპობას.

ბრალმდებელი მიმართავს კალტენბრუნერს დაეუბნება: „თქვენ აჩვენეთ, რომ არაფერი იცოდით უშიშროების პოლიციისა და სდ-ის ჯგუფების მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე?“

კალტენბრუნერი დადებით პასუხს იძლევა.

ბრალმდებელი: და თქვენ განაგრძობთ იმის მტკიცებას, რომ ეს სწორია?

ბრალდებული: დიახ.

ბრალმდებელი: გვითხარით, ეს ჯგუფები ებრაელებს სპობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც თქვენ დაიკავეთ უშიშროების საიმპერიო მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტი?

ბრალდებული: 1944 წლის ნოემბერში ეს შეიტყე მხოლოდ ჰიტლერთან და ჰიმლერთან საუბრის დროს.

ამის შემდეგ ბრალმდებელი ტრიბუნალსა და ბრალდებულს წარუდგენს რამდენიმე დოკუმენტს, რომლებიც სასამართლომ ეს არის ახლა მიიღო ვენიდან და რომლებიც იქ ამოღებულია კალტენბრუნერის პირადი არქივებიდან; ეს დოკუმენტები ამხილებენ კალტენბრუნერს.

პოლკოვნიკ ენინის შემდეგ ბრალდებულის დაკითხვას აწყვებს ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. სმირნოვი. იგი ბრალდებულს წარუდგენს ფრანკის დღიურის ნაწყვეტს, სადაც აღნიშნულია, რომ ჰიტლერული უშიშროების პოლიციისა და სდ-ის უფროსმა პოლონეთში კრიეგერმა კალტენბრუნერს სთხოვა „მუშაობდეთ ჰიმლერის წინაშე, რომ სამხედრო მრეწველობაში მომუშავე ებრაელები ჯერჯერობით არ მოესპოთ, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ საჭირონი არიან როგორც მუშახელი.

ბრალმდებლისა და თავმჯდომარის მრავალგზისი მოთხოვნის შემდეგ, რომ ბრალდებულმა პირდაპირი პასუხი გასცეს, იგი აცხადებს:

„შესაძლოა, რომ კრიეგერმა მთხოვა, მაგრამ არამცდაარამც არა როგორც თავის უფროსს“.

— თქვენ არაერთხელ გაგიცხადებიათ,—გააგრძობს ბრალმდებელი,—რომ ინფორმაციის გარდა, არაფერს აკეთებდით. სთქვით, ეკითხება ბრალმდებელი, ირანში წარმოებული არჩევნების დროს ხალხის მოსასყიდად რიბენტროპისაგან ერთი მილიონი თუმნის მიღებაც წმინდა „საინფორმაციო“ მუშაობად მიგაჩნდათ?

კალტენბრუნერი აცხადებს, რომ მას რიბენტროპისათვის ფული არ უთხოვნია, ვინაიდან „საკმაო სახსრები ჰქონდა, რომ თვითონ გაეტუმრებინა თავისი აგენტები“.

მაშინ ბრალმდებელმა ბრალდებულს წარუდგინა დედანი მისი წერილისა საგარეო საქმეთა მინისტრ რიბენტროპისადმი, სადაც პირდაპირ ნათქვამია შემდეგი: „არჩევნებზე გადამწყვეტი გავლენის მოსახდენად, ხალხის მოსასყიდავად საჭიროა თეირანისათვის 400 ათასი თუმანი, ხოლო მთელი დანარჩენი ირანისათვის სულ ცოტა 600 ათასი თუმანი. გთხოვთ შემატყობინოთ, შეიძლება თუ არა ერთი მილიონი თუმნის მიღება საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან. ამ ფულის გადაგზავნა შეიძლება იმ ადამიანთა ხელით, რომლებიც იქ თვითმფრინავით იგზავნებიან. თქვენი ერთგული კალტენბრუნერი, ობერგრუპენფიუერერი“.

პასუხად ბრალდებული აცხადებს, რომ შესაძლოა მან ამ წერილს ხელი მოაწერა „ტექტის გრძნობის გამო“.

ბრალმდებელი სიტყვას აწყვეტინებს ბრალდებულს და ეკითხება: „პირდაპირ სთქვით — თქვენი ხელმოწერილია ეს დოკუმენტი?“.

კალტენბრუნერი აკვირდება წერილის ტექსტს და აღიარებს: „დიახ, ეს ჩემი ხელმოწერაა“.

ტრიბუნალმა დილის სხდომის დასასრულს განიხილა დამცველ ტომას შუამდგომლობა ბრალდებულ რიბენტროპის საქმის გამო დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

15 აპრილის დილის სხდომა.

ნიურნბერგი, 15 აპრილი. (საკადესი). სასამართლოს დარბაზში შემოჰყავთ მოშმე რუდოლფ ჰესი —ოსვენციმის ცნობილი მოსპობის ბანაკის ყოფილი კომენდანტი. ჰესი დიდხანს ამალებოდა და მხოლოდ ერთი თვის წინათ შეიპყრეს და დააპატიმრეს.

მოშმე ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იყო აგებული ოსვენციმის ბანაკი და რა უზრუნველსყოფდა ამ ბანაკში ადამიანთა დახოცვის საიდუმლოებას.

მოშმე თავის ჩვენებებში ადასტურებს, რომ მან იცოდა, თუ რა მუშაობას ეწეოდნენ ექიმები საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრებზე სტერილიზაციის, მაღალი წნევის კამერებში და სხვა „ცდების“ ჩასატარებლად. ჰესი აგრეთვე ადასტურებს, რომ ბრძანებანი სიკვდილით დასჯისა და მასობრივი მკვლელობის შესახებ მას, როგორც ბანაკის კომენდანტს, მისდიოდა ინსპექციის საშუალებით და მათ ხელს აწერდნენ ჰიმლერი, კალტენბრუნერი ან მიულერი.

შესვენების შემდეგ მოშმე ჰესის დაკითხვას შეუდგა ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი პოლკოვნიკი ენინი. იგი ამხილებს ყველა ჰიტლერულ დამნაშავეთა სიცრუეს, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს მათ არაფერი იცოდნენ საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ. დაცვის მიერ გამოწვეული მოშმე ჰესი ადასტურებს, რომ ჰიტლერელი მეთაურები თავისებურ ექსკურსიებს ახდენდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, პირველი ასეთი „ექსკურსია“ მოშმემ ნახა ჯერ კიდევ 1935 წელს, როცა ჰაუსჰოფერთა დიდი ჯგუფი, რომელსაც თვით ჰიმლერი ხელმძღვანელობდა, დიდხანს ათვალიერებდა საკონცენტრაციო ბანაკებს. ფაშისტ მინისტრებს პრივილეგია ჰქონდათ მისულიყვნენ ბანაკებში, როცა მოესურვებოდათ.

ბრალმდებელი აქვეყნებს ერთ-ერთ ყველაზე შემაძრწუნებელ დოკუმენტს, რომელიც კი წარდგენილი იყო ამ პროცესზე, ეს არის მოშმის წერილობითი ჩვენება. ბრალმდებელი კითხულობს აბზაცობით, დროდადრო ჩერდება, რათა შეეკითხოს მოშმეს, სწორია თუ არა ის, რაც მოყვანილია დოკუმენტში. მოშმე ადასტურებს: „სწორია“. ოსვენციმის ბანაკის ყოფილი კომენდანტი ამბობს, რომ მისი ანგარიშით ამ ბანაკში მოსპობილ იქნა 2,500 ათასი კაცი და, ყოველ შემთხვევაში, ნახევარი მილიონი შიმშილითა და ავადყოფობათაგან დაიღუპა. მოსპობილთა ძირითად მასას შეადგენდნენ ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან მოყვანილი ებრაელები. მარტო 1944 წლის ზაფხულის განმავლობაში, ცინიკურად აცხადებს მოშმე, ჩვენ მოვსპეთ დაახლოებით 400 ათასი უნგრელი ებრაელი.

შემდეგ მოშმე კვლავ იმეორებს, რომ ჰიდრიხის მოკვლის შემდეგ „ყველა ბრძანებას დაპატიჟრების, გადასახლების, დასჯის და სიკვდილით დასჯის შესახებ ხელს აწერდა კალტენბრუნერი ან მისი მოადგილე მიულერი“. ასწერს რა კალტენბრუნერისა და მიულერის და მათი უფროსების ჰიმლერისა და ჰიტლერის ბრძანებით ჩადენილ მასობრივ მკვლელობათა ისტორიას, ჰესი აჩვენებს: „გაზებით მოშმლვის გზით მასობრივი მოსპობა დაიწყო 1942 წლის ზაფხულში და 1943 წლის შემოდგომამდე გრძელდებოდა. მე პირადად ვმეთვალყურეობდი ამ მასობრივ სიკვდილით დასჯას 1943 წლის შემოდგომამდე. მე ვიცი, რომ ეს სიკვდილით დასჯა გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც მე ოსვენციმის ბანაკიდან სამუშაოდ გადავედი უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს საკონცენტრაციო ბანაკების ინსპექციაში. ყველა მასობრივი დასჯა სიკვდილით ხდებოდა უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს ბრძანებითა და მეთვალყურეობით. სიკვდილით მასობრივი დასჯის შესახებ ყველა განკარგულებას მე ვიღებდი უშუალოდ უშიშროების მთავარი სამმართველოსაგან“.

მას შემდეგ, რაც მოშმე უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს საკონცენტრაციო ბანაკების ინსპექციაში გადავიდა, მისი საქმიანობის ასპარეზი გაფართოვდა. ის გახდა „ებრაელთა საკითხის“ ჰიტლერული „გადაწყვეტის“ ერთ-ერთი მონაწილე. „ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა,—ამბობს მოშმე,—მდგომარეობდა ევროპის ებრაული მოსახლეობის სრულ მოსპობაში. მე მომეცა სათანადო მითითებანი, ვინახულე ტრემბლინკის ბანაკი, რათა მცოდნოდა, თუ როგორ ტარდებოდა იქ პატიმართა მოსპობა. ბანაკის უფროსმა მომახსენა, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მან მოსპო 80 ათასი კაცი. იგი მუშაობდა, უმთავრესად, ვარშავის გეტოდან მოყვანილ ებრაელთა მოსპობაზე. იგი გაზს იყენებდა. ჩემი აზრით, ეს მეთოდი ეფექტიანი არ იყო. ოსვენციმის ბანაკში ადამიანთა მოსპობა მოვაწყე სხვა, უფრო ეფექტიანი გაზის დახმარებით. ახალ კამერებში, რომლებიც ჩვენ იქ ავაგეთ, ადამიანები 10-15 წუთის განმავლობაში იხოცებოდნენ. სპეციალური რაზმი მუშაობდა იმაზე, რომ მსხვერპლთათვის ჩამოერთმიათ ყველა ფასეული ნივთი“.

ბრალმდებელი აძლევს კიდევ ერთ კითხვას —ყველაფერი, რაც ამ დოკუმენტშია დაწერილი, მართალია თუ არა. მოშმე უპასუხებს: „დიახ, მართალია“.

მოშმე ჰესი შემდეგ აჩვენებს: „ჩვენ ავაგეთ გაზის კამერა, რომელსაც შეეძლო დაეტია 2 ათასი კაცი, მაშინ როდესაც ტრემბლინკში გაზის კამერა მხოლოდ 200 კაცს იტევდა. მსხვერპლთა შერჩევას აწარმოებდა ორი ექიმი, რომლებიც თავის წინ გაატარებდნენ ხოლმე პატიმართა ახალ პარტიას და მათგან ზოგს, რომლებიც მუშაობისათვის ვარგოდნენ, ერთ მხარეს გზავნიდნენ, უვარგისებს—გაზის კამერაში მოსასპობად. პატარა ბავშვებს ვსპობდით ყველა შემთხვევაში, რამდენადაც მათ მუშაობა არ შეეძლოთ“.

მას შემდეგ, რაც მოშმემ ერთხელ კიდევ მთლიანად დაადასტურა თავისი წერილობითი ჩვენება, ბრალმდებელი ეძინი ტრიბუნალს აცნობებს, რომ მას აღარა აქვს კითხვები მოშმისადმი.

მოსამართლე ბიდლის შეკითხვის პასუხად მოშმე ამბობს, რომ გერმანიაში იყო დაახლოებით 900 „შრომითი ბანაკი“, რომლებშიც სულ სხვადასხვა ეროვნების უცხოელები იყვნენ. მოშმის აღიარებით, საყოფაცხოვრებო პირობები ამ ბანაკებში უკეთესი არ იყო, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკებში.

15 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 15 აპრილი. (საკადესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომის დასაწყისში მოშმე, ნოიბახერს რამდენიმე შეკითხვა მისცეს ბრალდებულ ფუნკისა და ზაის-ინკვარტის დამცველებმა.

იმის გამო, რომ ექვსი დაკითხვის ფურცელი, რომლის წარდგენასაც კიდევ აპირებს ბრალდებულ კალტენბრუნერის დამცველი, მას ძიღებული არა აქვს, ტრიბუნალი შეუდგა ბრალდებულ შახტის საქმის გამო წარდგენილი დოკუმენტების სიის განხილვას. შემდეგ სიტყვა ეძლევა ბრალდებულ როზენბერგის დამცველ ადვოკატ ტომას.

თავისი დაცვითი სიტყვის დასაწყისში ადვოკატი გაფრთხილებას იძლევა, რომ იგი ციტატებს მოიყვანს როზენბერგის წიგნების ნაწყვეტებიდან, დამცველი აცხადებს, რომ ამ ციტატებით მას სურს დაამტკიცოს როზენბერგის „კეთილი განზრახვა“.

როზენბერგი იკავებს მოშმის ადგილს და დამცველის შეკითხვებზე პასუხის გაცემისას იწყებს თავისი ბიოგრაფიის მოყოლას. შემდეგ ბრალდებული ავითარებს ჰიტლერული პარტიის „დოქტრინებს“.

ტრიბუნალის თავმჯდომარე ლაპარაკს აწყვეტინებს მას და წინადადებას აძლევს დამცველს, რომ ბრალდებულის განცხადება შეზღუდოს იმ ბრალდებებით, რომლებიც წამოყენებულია მის წინააღმდეგ.

მაგრამ დამცველი ცდილობს განაგრძოს ბრალდებულის დაკითხვა თავდაპირველი გეგმით. მიკროფონთან მიდის ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი დოდი, რომელიც აცხადებს:

— არც ერთი ბრალმდებელი დანაშაულად არ უთვლის ბრალდებულს მის აზრებს. პრინციპულ საფუძველზე ჩვენ ადამიანებს არ ვდევნით მათი აზრებისათვის. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიადაც არ უნდა შევეხოთ ბრალდებულის შეხედულებას ამა თუ იმ ანდა რომელიმე სხვა საკითხის შესახებ.

ადვოკატი ტომა დაჟინებით აცხადებს, რომ მას სურს როზენბერგს მისცეს შეკითხვა, თუ რატომ ეწოდა ჰიტლერიზმი ბრძოლას დემოკრატიის წინააღმდეგ. ტრიბუნალის თავმჯდომარე კვლავ აცხადებს, რომ ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საქმესთან. საკითხი იმაში მდგომარეობს, ამბობს ლორდი ლოურენსი, იყენებდა თუ არა როზენბერგი ჰიტლერიზმს სხვა ქვეყნებზე თავდასხმის მიზნით.

დამცველი აცხადებს, რომ მაშინ მას სურს შეეკითხოს ბრალდებულს, თუ უკანასკნელი როგორ უყურებს იმ ბრალდებას, რომ ნაციონალ-სოციალიზმი ბატონთა რასის პროპაგანდას ეწეოდა. ამის პასუხად როზენბერგი აცხადებს, თითქოს თავის თხზულებებში მას არასოდეს არ უხსენებია და არ გამოუყენებია ეს ცნება. შემდეგ იგი ტრიბუნალს მოუთხრობს, „ევროპის მეცნიერები ხუთასი წელია სწავლობენ რასის საკითხებსო“.

ტრიბუნალის თავმჯდომარე კიდევ აწყვეტინებს ლაპარაკს ბრალდებულს და დამცველის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სასამართლომ არ უნდა განიხილოს, თუ რა იყო რამდენიმე საუკუნის წინათ.

— ბრალდებული იწყებს ლაპარაკს რასობრივ საკითხზე,—აცხადებს დამცველი, — და მე გამოვიყენებ ამას, რათა გადავიდე ეგრეთწოდებულ ებრაულთა საკითხზე.

მიკროფონთან მიდის მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან ამხ. რუდენკო, რომელიც შემდეგი განცხადებით მიმართავს ტრიბუნალის თავმჯდომარეს:

— ჩემმა კოლეგამ ბ-ნმა დოდმა უკვე აღნიშნა აქ, რომ ბრალდებულთ წარდგენილი აქვთ ბრალდება მათ მიერ კონკრეტულად ჩადენილ დანაშაულობაში — აგრესიულ ომებში, ბოროტმოქმედებებში. მე ვფიქრობ, რომ ადვოკატ ტომას მიერ თავისი მარწმუნებლის ყველაზე სწორი დაკითხვა იქნება, თუ იგი კონკრეტულ შეკითხვებს მისცემს წარდგენილ ბრალდებათა შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ტრიბუნალი სრულიადაც არ აპირებს მოისმინოს ლექციები ნაციონალ-სოციალიზმზე, რასობრივ თეორიზე და სხვ.

ადვოკატი ტომა ეკითხება როზენბერგს, თუ რა საქმიანობას ეწეოდა იგი როგორც ფაშისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

ცნობილია, რომ ფაშისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის განყოფილება წარმოადგენდა საზღვარგარეთ შპიონაჟის ცენტრს, პროვოკაციის კერას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როზენბერგი მოურიდებლად ამტკიცებს სასამართლოში, რომ საგარეო პოლიტიკის განყოფილებას თითქოს ამოცანად ჰქონდა მიეწოდებინა უცხოელთათვის ინფორმაცია ჰიტლერული პარტიის მიზნების შესახებ. გარდა ამისა, თითქოს ეს განყოფილება სწავლობდა უცხოეთის პრესას, რათა ჰქონოდა „სათანადო არქივები ხელმძღვანელი მუშაობისათვის“.

ადვოკატის მიერ როზენბერგის დაკითხვის დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა ბრალდებულის ურთიერთობას კვისლინგთან, ნორვეგიაში როზენბერგის მიერ კვისლინგური ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და მის მონაწილეობას გერმანიის მიერ ნორვეგიის ნეიტრალიტეტის დარღვევაში.

ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

16 აპრილის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 16 აპრილი. (საკადესი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომამ მოისმინა ბრალდებულ როზენბერგის საქმე.

დამცველი ტომა განაგრძობდა დაკითხვას. დამცველმა ბრალდებულს ფაქტიურად ზედიზედ გადასცა სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებსაც მოაყოლა მანიშნებელი კითხვები, და დინჯად ისმენდა თავისი მარწმუნებლის ფრიად ვრცელ ყმაღობას.

ტრიბუნალს წარუდგინეს ბრალდების ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც მოყვანილია როზენბერგის გამოსვლა იმის შესახებ, რომ, რადგან საფრანგეთში ბევრ გერმანელს ხოცავენ, უნდა დაიხვრიტონ არა მარტო ფრანგი მძევლები, არამედ პასუხისგებაში მიცემულ იქნან ებრაელებიც. როზენბერგი იძულებულია აღიაროს, რომ მძევლების დახვრეტა მას მიაჩნდა „დასაშვებ ღონისძიებად“ იმის დროს და „სამართლიანად“ სთვლიდა ამ მკვლელობას.

ამის შემდეგ დამცველი ტომა გადადის როზენბერგის, როგორც „აღმოსავლეთ ოლქების მინისტრის“, დანაშაულობათა საკითხზე. როზენბერგი ვრცლად ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ დაინიშნა იგი ამ თანამდებობაზე. ჯერ კიდევ 1941 წლის აპრილში ჰიტლერმა ძიიწვია იგი და განუცხადა საბჭოთა კავშირზე მომავალი თავდასხმის შესახებ. მაშინ ჰიტლერმა უთხრა მას, რომ მან უკვე გასცა სათანადო სამხედრო ბრძანება და რომ მას სურს ჩაბაძს როზენბერგი, როგორც თავისი პოლიტიკური მრჩეველი ამ ღონისძიებათა განხორციელებაში. როზენბერგი აღიარებს, რომ ოქმადე, ორი თვით ადრე მან დაიწყო თავისი ყველაზე მახლობელი თანამშრომლების შეგროვება, რათა შეექმნა ცენტრალური დაწესებულება „აღმოსავლეთის პრობლემის“ განსახილველად და ამ საკითხზე კავშირი დაეყარებინა უმაღლეს უზენაეს საიმპერიო დაწესებულებებთან.

დაკითხვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა როზენბერგის, როგორც „აღმოსავლეთი ოლქების მინისტრის“, რწმენებათა განხილვას. უპასუხებს რა თავისი დამცველის შეკითხვებზე, როზენბერგი ცდილობს ამტკიცოს, რომ მისი ფუნქციები ფრიად შეზღუდული იყო, ვინაიდან სხვა საიმპერიო მინისტრებს თითქოს უფლება ჰქონდათ მისთვის განკარგულება ეძლათ. უფრო მეტიც, ბრალდებული სასაცილოდ ამტკიცებს, თითქოს მას ყოველთვის როდი შეეძლო მითითებანი მიეცა თავისი პირდაპირი ხელქვეითებისათვის, კერძოდ უკრაინის რაიხსკომისარ კოხისათვის.

შემდეგ როზენბერგს შეკითხვებს აძლევენ გერმანულ კატორღაში საბჭოთა მშვიდობიანი მოსახლეობის გარეკვის საკითხზე, რასაც ბრალდებული ჯიუტად უწოდებს „მუშახელის განწილებას“. იგი ცდილობს კვლავ დაარწმუნოს სასამართლო, თითქოს თავის პოლიტიკაში იგი ისწრაფვოდა შეეცილრებინა გერმანიაში გასარეკი მუშების რიცხვი.

როზენბერგის დაკითხვის დასკვნითს ნაწილში დილის სხდომაზე ბრალდებული ფარისევლურად აცხადებს, თითქოს იგი ადგილობრივი მოსახლეობის დამცველი იყო.

ბრალდებულ როზენბერგის დაკითხვა გადაქცეულა საღამოს სხდომაზე.

16 აპრილის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 16 აპრილი. (საკადესი). ტრიბუნალის 16 აპრილის საღამოს სხდომაზე ბრალდებული როზენბერგი, უპასუხებდა რა თავისი დამცველის ტომას კითხვებზე, განაგრძობდა მისთვის წაყენებულ იმ ბრალდებათა უსაბუთოდ უარყოფას, რომ აწყობდა მკვლელობებსა და თვითნებობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ხელოვნების ნაწარმოებთა დატაცებასა და ებრაელების მასობრივად გაჟლეტას.

როზენბერგი განსაკუთრებულ საზრიანობას ვერ იჩენს მაშინაც კი, როცა ცდილობს თავი გაამართლოს იმ დანაშაულობებში, რომლებშიც იგი იძულებულია გამოტყდეს.

როზენბერგი აღიარებს, რომ ჰიტლერელები განზრახ ახდენდნენ ნგრევას „აღმოსავლეთ ტერიტორიებზე“, აქცევდნენ მათ „უდაბნოს ზონად“, და უტიფრად აცხადებს, ეს „სამხედრო საჭიროებით“ იყო გამოწვეული.

შესვენების შემდეგ დაკითხვის განახლებისას დამცველი ტომა სთხოვს ბრალდებულ როზენბერგს ახსნას იმ დოკუმენტის წარმოშობა, რომელშიც ნათქვამია, რომ საიმპერიო კომისარმა უკრაინაში კოხმა მოსპო მთელი ტყიანი რაიონის მოსახლეობა, რათა ეს რაიონი სანადიროდ გაეწმინდა. ადამიანთა დიდი რაოდენობით გადასახლება ამ ჰიტლერელ სატრაპს ძლიერ სადავიდარაბო და ხანგრძლივ საქმედ მოეჩვენა, ამიტომ მან ბრძანება გასცა ისინი პირდაპირ ტყვიით დაეხოცნათ. ბრალდებული არ უარჰყოფს მოსახლეობის ველური აწიოკების თვით ფაქტს. მაგრამ მას საჭიროდ მიაჩნია შეიტანოს „არსებითი შესწორება“. მოსახლეობა, თურმე, დახვრეტილ იქნა არა იმიტომ, რომ კოხს ესაჭიროებოდა სანადირო ადგილები. კოხი ვითომდა უფრო რეალისტური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: მას დავალებული ჰქონდა შპალების დამზადების მოწყობა. მაგრამ ამ ტყეებში პარტიზანები იმალებოდნენ. ამიტომ კოხმა „სასიკეთოდ ჩასთვალა“ მთელი რაიონის მოსახლეობის დახვრეტა.



მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. **სურათზე:** იმ საყრობილის ერთ-ერთი კორპუსი, სადაც მოთავსებული არიან მთავარი გერმანელი სამხედრო დამნაშავენი.

ფოტო საკადესის სპეციალურ კორესპონდენტ ე. ხალდეისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების XXI სესია

19 და 20 აპრილს, დილის 11 საათზე შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების XXI სამეცნიერო სესია.

მოხსენებებს გააკეთებენ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები: ე. ხარაძე—გალაქტიკური შთანთქმის პრობლემა და სელექტიკური შთანთქმის შესწავლა ნკრთალ ვარსკვლავთა კოლორ-ინდექსების საფუძველზე; ვ. ამბარცუმიანი — გალაქტიკის აგებულების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ კოსმოსური შთანთქმის პრობლემასთან დაკავშირებით; მ. ვაშაკიძე—გარეგალაქტიკურ ნისლეულთა კოლორ-ინდექსები: ვ. ნიკონოვი —აბასთუმნის ობსერვატორიის ელექტროფოტომეტრული სამუშაონი.

სხდომები შესდგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასხდომო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

„სპარტაკის“ ფეხბურთელები ალბანეთს მიემგზავრებიან

ამ დღეებში ნალჩიკიდან, სადაც ამჟამად წვრთნა მიმდინარეობს, ალბანეთის სასპორტო ორგანიზაციების მიწვევით ალბანეთში გაფრინდება საზოგადოება „სპარტაკის“ მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი. ალბანეთში სპარტაკელები ორ-სამ ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ უძლიერეს ადგილობრივ კლუბებთან.

გუნდის შემადგენლობაში არიან ძირითადი მოთამაშენი: ემელკოვი, ჩერნიშევი, ვასილ, ვიქტორ და ალექსი სოკოლოვები, გულიაევი, მალინინი, რიაზანცევი, გლაზკოვი, სალნიკოვი, პროვორნოვი და სხვები. მათთან ერთად გაფრინდებიან მწვრთნელი ამხ. ვოლრადი და ფეხბურთის სახელმწიფო მსაჯი ამხ. ლატიშევი. (საკადესი).

ხელოვნების ქრონიკა

„ოტელო.“

თბილისის აზერბაიჯანულმა სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად დასდგა უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ყურულს, მუსიკა დასწერა კომპოზიტორმა კ. მეღვინეთ- უხუცესმა. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ა. ნაღებოვმა.

მთავარ როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. გ. ისფაჰანლი (ოტელო), მსახიობები: ნ. ბეიბეთოვა (დეზდემონა), ნ. მამედოვი (როდერიგო), ს. ზეინალოვა (ემილია), ა. ხეირანოვი (კასიო), ო. ხაკი (მონტანო) და დამსახურებული არტისტი ა. სალახი (სენატორი).

„ბაში-აჩუკი“

სოხუმის ქართულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ა. კაჭკაჭიშვილის პიესა „ბაში-აჩუკი“ —აკაკი წერეთლის მოთხრობის მიხედვით.

პიესა დასდგა რეჟისორმა ვ. გაბუნიამ, მხატვრულად გააფორმა ნ. ყაზბეგმა. როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ლ. ჭედია, მ. გაგნიძე, მ. ჩუბინიძე და თ. მაკარიშვილი, მსახიობები: კ. ბოკუჩავა, კ. ყურაშვილი, მ. თბილელი, ნ. მიქაშავიძე.

ორი სპექტაკლი

მახარაძის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“ და ა. ცაგარლის „ციმბირელი“. ორივე პიესა დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გ. როსებამ. მხატვრულად გააფორმა ლ. მალაზონიამ.

ახალი წიგნი

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებების კრებული

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებისა“, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდახუთი წლისთავისადმი.

კრებულში მოთავსებული ნაწარმოებნი თარგმნა პოეტმა ვასო გორგაძემ.

კრებულში დაიბეჭდა მ. შავლოხოვის, ზ. პლიევის, კაკაბაგის, დ. კუსოვის, გაფეზის, ნიგას, გ. ძუგაევის, ე. ბეკოევის და სხვათა ლექსები და მოთხრობები.

კრებული შეიცავს 144 გვერდს და ღირს 15 მანეთი.

ქეცხოველის სახელობის საქალაქო პარტიკაბინეტში

19 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ლექტორების, მომხსენებლებისა და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. **ავრინსკის** კონსულტაცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“** (თხუთმეტდღიური მომზადება).

19 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ფილოსოფიაში კონსულტაციას ჩაატარებს დოცენტი **ქორიძე.**

20 აპრილს, დილის 9 საათზე, საქართველოს ქ. ბ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“.**

სემინარს უხელმძღვანელებენ ქართულ ენაზე დოცენტი **გორგილაძე,** რუსულ ენაზე დოცენტი **ასათიანი.**

მასწავლებლის სახლში

19 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში შესდგება ლექცია თემაზე: „სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთიანი ბრძოლა აღზრდის გაუმჯობესებისათვის“. ლექციას წაიკითხავს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. კიზარია.

შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

19 აპრილს: სახელმწიფო ოპერა—„აბესალომ და ეთერი“. **რუსთაველის სახელობის** — „საშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „ოკეანეთელი“. **გრიბოედოვის სახელობის**—„მაშენჯა“. **ხომხური**—„წითელი გულქანდა“. **ახუნდოვის სახელობის**—„ოტელო“. **მუსიკალური კომედიის**—„აზნაურები“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ნაცარქექია“. **თოჯინების ქართული,** — „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“.

კინოებში

19 აპრილს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და დამკვრელი—„გამარჯობა მოსკოვო“. **კომკავშირელი**—„მუსიკალური ისტორია“. **სპარტაკი**—„მეღორე ქალი და მწყემსი“. **ლუქსემბურგის სახელობის**—„ზიგმუნდ კოლოსოვსკი“. **26 კომისრის სახელობის**—„არშინ მალალანი“ (აზერბაიჯანულ ენაზე). **მეცნიერება და ცოდნა**—„ქაჯანა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოქსელის დირექცია აუწყებს დაწესებულება-ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, რომლებმაც 1941 წელს ჩააბარეს შესანახად კავშირგაბმულობის ორგანოებს რადიომიმღებები, რომ, მთავრობის 1946 წ. 13 თებერვლის № 363 დადგენილების შესაბამისად, რადიომიმღებების გაცემის ვადა ძალაშია 1 ივ. 15 მაისს.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ რადიომიმღებთა დაბრუნებაზე მეპატრონეთა არავითარი პრეტენზიები არ მიიღება. ამისათვის რადიოქსელის დირექცია სთხოვს რადიომიმღებთა მეპატრონეებს, რომელთაც აქამდის არ მიუღიათ რადიომიმღებები, უზრუნველყონ მათი მიღება.

რადიოქსელის დირექცია

თბილისის ლენინის ორდენოსან კინოსტუდიას სურათში მონაწილეობისათვის ესაჭიროება ბავშვები 7-დან 10 წლამდე. მსურველებს შეუძლიათ მიმართ